სსიპ კოლეჯი „მერმისი“

მომავალ მეწარმეთა კლუბი

აღწერა:

სსიპ კოლეჯის „მერმისი“ მომავალ მეწარმეთა კლუბი 2022 წლის 21 ნოემბერს შეიქმნა. მისი მიზანია ერთმანეთთან დააკავშიროს ბიზნესის სფეროთი დაინტერესებული სტუდენტები და მისცეს მატ საშუალება განახორციელონ საინტერესო პროექტები. კოლეჯის ბაზაზე დაფუძნებულ კლუბს აქტიური წვლილი შეაქვს კოლეჯის სტუდენტურ ცხოვრებაში. კლუბი რეგულარულად იწვევს საქართველოში წარმატებული კომპანიების წარმომადგენლებს და უზრუნველყოფს მათთან სტუდენტების შეხვედრას, დისკუსიების მოწყობასა და მომავალ მეწარმეთა საქმიანობის შესახებ კომპეტენტური რეკომენდაციების მიცემას. კლუბის დახმარებით სტუდენტებს საშუალება ეძლევათ კოლეჯში მიღებული ცოდნა ასახონ პრაქტიკულ საქმიანობაში. კლუბის წევრების მიერ ეწყობა ტრენინგები და მასტერკლასები კოლეჯის სხვა სტუდენტებისთვის.

მიზანი:

მომავალ მეწარმეთა კლუბის მიზანია პოპულარიზაცია გაუწიოს მეწარმეთა სფეროს როგორც კოლეჯში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტებში პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და მათში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას.

კლუბის ძირითადი საქმიანობა:

პროფესიული განათლების პოპულარიზაცია;

საინტერესო აქტივობების/პროქტების/ვორკშოპების დაგეგმვა და განხორციელება;

,,მეწარმეობის“ პროფესიული განათლების მასწავლებლის ხელშეწყობით ტრენინგ-კურსების შექმნა მეწარმეობის მიმართულებით მეწარმეობის საწყისების, ციფრული მარკეტინგის, ეფექტური კომუნიკაციის, გაყიდვების, მენეჯმენტის შესწავლის მიზნით.

კლუბის წევრების მიერ მეწარმეობის ტრენინგების ჩატარება, როგორც კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისათვის, ასევე პოტენციური სტუდენტებისათვის.

წარმატებული მეწარმეების, სტარტაპების, მეწარმეობის კონკურსში გამარჯვებული ახალგაზრდების მოწვევა და მათი გამოცდილების გაზიარება;

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ვიდეობის ჩაწერა, პროფესიულ სტუდენტთა მასტერკლასები, პროფესიულ სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

მომავალ მეწარმეთა კლუბის მიერ სხვადასხვა აქტივობების/ღონისძიებების განხორციელება არამარტო კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა, ასევე ნაძალადევის მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლეებისა და უბნის ბავშვების ჩართულობით კოლეჯში არსებულ სივრცეში - სკვერში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: nona_gudushauri@mermisicollege.edu.ge

ტელეფონი: 032 2 14 76 63